საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 2308 2018 წლის 7 დეკემბერი ქ. თბილისი

2019-2020 წლების განმავლობაში ფიჭური სატელეფონო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერ(ებ)ის მეშვეობით განხორციელების თაობაზე

ფიჭური სატელეფონო მომსახურების 2018-2019 წლების კონსოლიდირებული ტენდერისა და მისი შედეგების ანალიზის გათვალისწინებით:

1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 20^2 მუხლის შესაბამისად, 2019-2020 წლების (2020 წლის 31 იანვრის ჩათვლით) განმავლობაში ფიჭური სატელეფონო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით, სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით ჩატარდეს კონსოლიდირებული ტენდერ(ებ)ი.

2. იმ შემთხვევაში, თუ კონსოლიდირებული ტენდერი შეწყდება ან დასრულდება უარყოფითი შედეგით, აღნიშნულიდან არა უგვიანეს 60 კალენდარული დღის განმავლობაში განმეორებით გამოცხადებულ კონსოლიდირებულ ტენდერში შეწყვეტილ ან უარყოფითი შედეგით დასრულებულ კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილე

პრეტენდენტისთვის სატენდერო წინადადების წარდგენის საფასური განისაზღვროს 500 ლარის ოდენობით.

3. საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ უზრუნველყოს 2019-2020 წლების (2020 წლის 31 იანვრის ჩათვლით) განმავლობაში ფიჭური სატელეფონო მომსახურების კონსოლიდირებული ტენდერების სატენდერო დოკუმენტაციების პროექტების მომზადება და კონსოლიდირებული ტენდერების ჩატარებისათვის კანონმდებლობით დადგენილი სხვა აუცილებელი სამართლებრივი და ორგანიზაციული ღონისძიებების განხორციელება.

4. 2019-2020 წლების (2020 წლის 31 იანვრის ჩათვლით) განმავლობაში ფიჭური სატელეფონო მომსახურების კონსოლიდირებული ტენდერ(ებ)ის ჩატარებისა და აღნიშნული ტენდერების შემდგომი ადმინისტრირების მიზნით შეიქმნას ფიჭური სატელეფონო მომსახურების 2019-2020 წლების კონსოლიდირებული ტენდერ(ებ)ის სატენდერო კომისია, დამტკიცდეს მისი თანდართული შემადგენლობა და საქმიანობის წესი.

5. 2020 წელს უწყვეტი ფიჭური სატელეფონო მომსახურების უზრუნველყოფისა და სახსრების რაციონალური ხარჯვის პრინციპიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში, ამ განკარგულების პირველ პუნქტში მითითებული ვადა, ამ განკარგულების მე-4 პუნქტით განსაზღვრული სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია გაგრძელდეს 2020-2021 წლების ფიჭური სატელეფონო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერის გამოცხადებამდე ან/და გამოცხადებულ კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებების გაფორმებისა და პორტირების პროცედურების დასრულებამდე.

პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე**

დამტკიცებულია
საქართველოს მთავრობის
2018 წლის 4 დეკემბრის
№ 2308 განკარგულებით

ფიჭური სატელეფონო მომსახურების 2019-2020 წლების კონსოლიდირებული ტენდერ(ებ)ის სატენდერო კომისიის შემადგენლობა და საქმიანობის წესი

1. ფიჭური სატელეფონო მომსახურების 2019-2020 წლების კონსოლიდირებული ტენდერ(ებ)ის სატენდერო კომისია (შემდგომში – სატენდერო კომისია) შექმნილია ფიჭური სატელეფონო მომსახურების 2019-2020 წლების კონსოლიდირებული ტენდერ(ებ)ის ჩატარებისა და შემდგომი ადმინისტრირების მიზნით.

2. ბაზრის კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, კონსოლიდირებული ტენდერის თავისებურებებიდან და საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვის პრინციპიდან გამომდინარე, სატენდერო კომისია უფლებამოსილია, განკარგულების პირველ პუნქტში განსაზღვრული ვადის განმავლობაში ჩაატაროს ერთი ან რამდენიმე კონსოლიდირებული ტენდერი.

3. სატენდერო კომისიის შემადგენლობაში შედიან:

ლევან რაზმაძე – სსიპ – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარე, სატენდერო კომისიის თავმჯდომარე;

ილია ბეგიაშვილი – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე, სატენდერო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

ალექსანდრე დარახველიძე – საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე, სატენდერო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

ლერი ბარნაბიშვილი – საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე, სატენდერო კომისიის წევრი;

გიორგი ბუთხუზი – საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე, სატენდერო კომისიის წევრი;

ნათელა. თურნავა – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე, სატენდერო კომისიის წევრი;

ლევან კაკავა – საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, სატენდერო კომისიის წევრი;

ნოდარ ხადური – სსიპ – კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარე, სატენდერო კომისიის წევრი;

ვასილ ჯანჯღავა – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი, სატენდერო კომისიის წევრი.

4. სატენდერო კომისიას ხელმძღვანელობს სატენდერო კომისიის თავმჯდომარე, მისი არყოფნის შემთხვევაში – თავმჯდომარის დავალებით, მისი ერთ-ერთი მოადგილე, ხოლო მოადგილეების არყოფნისას, თავმჯდომარის დავალებით – სატენდერო კომისიის ერთ-ერთი წევრი.

5. სატენდერო კომისიის ნებისმიერი გადაწყვეტილება უნდა აისახოს სატენდერო კომისიის შესაბამის სხდომის ოქმში, რომელსაც ხელს აწერს კომისიის ყველა დამსწრე წევრი.

6. სატენდერო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სატენდერო კომისიის წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. სატენდერო კომისიის სხდომაზე გადაწყვეტილება მიიღება კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ სიითი შემადგენლობის ხუთი წევრისა.

7. სატენდერო კომისიის წევრი, რომელიც არ ეთანხმება სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებას, უფლებამოსილია, წერილობით წარადგინოს

თავისი აზრი, რომელიც უნდა დაერთოს სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებას.

8. ორგანიზაციული და ტექნიკური ტიპის ან/და ხელშეკრულების შესრულების პერიოდში მიმდინარე საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც არ საჭიროებენ სატენდერო კომისიის სხდომის მოწვევას, კომისიის მიერ გადაწყვეტილება შესაძლებელია მიღებულ იქნეს კონსოლიდირებული ტენდერების მენეჯმენტის ctd.spa.ge სისტემის ან mobile2019@spa.gov.ge ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. აღნიშნული საშუალებებით გამოხატული პოზიცია ან/და მიღებული გადაწყვეტილებები წარმოადგენს იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტებს.

9. სატენდერო კომისიის ორგანიზაციულ საქმიანობას უზრუნველყოფს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო.